ფედერაციის წევრობის წესები

ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც დაკავშირებულია სპორტულ ცოცვასთან, ან სპორტული ცოცვის განვითარების მიზნით ახორციელებს ფედერაციის სპონსორობას.

1. **წევრების ტიპები**
    - ფედერაციის წევრები იყოფიან **ორი კატეგორიად**:
        - **წევრი**
        - **დელეგატი წევრი**
2. **წევრის სტატუსის მინიჭება.**
    - **ფედერაციის წევრი** შეიძლება გახდეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:
        - სპორტული ცოცვის განვითარებით დაინტერესებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც წესდებით გათვალისწინებული წესით მიმართავს ფედერაციას წევრობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.
        - სრულად ეთანხმება ფედერაციის წესდებას.
        - აქვს მაღალი სოციალური პსუხისმგებლობა.
        - აქვს უნარი აიღოს თმენის ვალდებულება.
          (თმენის ვალდებულება არ ნიშნავს, ფედერაციის ან თქვენ წინაშე წამოყენბულ შესაძლო ბრალდებაზე პასუხგაუცემლობას. აღნიშნული პასუხის გაცემა უნდა მოხდეს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული პლატოფრმების მეშვეობით.
3. **დელეგატი წევრის სტატუსის მინიჭება**
    - **დელეგატი წევრი** შეიძლება გახდეს ფედერაციის წევრი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:
        - განცხადებით მიმართავს ფედერაციას დელეგატი წევრობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.
        - არის **2 წელზე მეტი** დროის განმავლობაში ფედერაციის წევრი.
        - დაგვიანების გარეშე ახორციელებს საწევრო შენატანებს.

- იურიდიული პირის შემთხვევაში უნდა **ყავდეს მოქმედი ათლეტები**, რომლებიც რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ფედერაციის ეგიდით ორგანიზებულ ტურნირებში ან წევრობის განმავლობაში უწყვეტად უნდა ახორციელებდეს ფედერაციის სპონსორობას.
  (საწევრო შენატანი არ ნიშნავს სასპონსორო შეთანხმებას)
- ფიზიკური პირის შემთხვევაში, საპრიზო ადგილი უნდა ჰქონდეს IFSC-ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირში.
  (აღნიშნული ტურნირიდან არ უნდა იყოს გასული 4 კალენდარულ წელიწადზე მეტი)

4. **სპეციალური ტარიფი წევრებისთვის**

   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის პარტნიორ ორგანიზაციების და დელეგატი წევრების დარბაზებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები, სამუშაო საათები და მომსახურების პირობები ინდივიდუალურია)
   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის მიერ აღიარებული საცოცი კედლების მწარმოებელ კომპანიებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები ინდივიდუალურია)
   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის პარტნიორ მაღაზიებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები ინდივიდუალურია)

5. **სპეციალური ტარიფი დელეგატებისთვის**

   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის პარტნიორ ორგანიზაციების და დელეგატი წევრების დარბაზებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები, სამუშაო საათები და მომსახურების პირობები ინდივიდუალურია)
   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის მიერ აღიარებული საცოცი კედლების მწარმოებელ კომპანიებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები ინდივიდუალურია)
   - **წევრები** სარგებლობენ ფედერაციის პარტნიორ მაღაზიებში **სპეციალური ტარიფებით.**
     (აღნიშნული ტარიფები ინდივიდუალურია)
   - **დელეგატი წევრები** მონაწილეობას იღებენ ფედერაციის ყრილობაბში (საერთო კრებებში).
     (წესდების შესაბამისად)